პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ • ვაკავშირებთ

G-PAM
ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | მარტი 2015 წ.

ბიულეტენი#8

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის აპრილიდან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენში წარმოგიდგენთ ქართველი ემიგრანტების რეალურ ისტორიებს, რომლებიც სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ საბერძნეთისა და თურქეთის ტერიტორიაზე, ზოგიერთი მათგანი დღესაც იქაა. ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ პროექტის მიმდინარე საქმიანობებს, რა თემაზე ჩატარდა ეროვნული დიალოგები საქართველოს ხუთ რეგიონში და „სიდა“-ს დაფინანსებით რამდენმა ბენეფიციარმა გაიარა უფასო პროფესიული გადამზადების კურსები.

რეალური ისტორიები ქართველი ემიგრანტების შესახებ

ალბათ დავბრუნდები მაგრამ.....

ჩამოვედი საბერძნეთში 1998 წელს, მაშინ 27 წლის ვიყავი . საქართველოში დავტოვე 2 შვილი, 7 და 9 წლის. მეუღლე დამეღუპა აფხაზეთში 1993 წელს. სამუშაოს პოვნა არ გამჭირვებია და ძალიან თბილ და კარგ ოჯახში მომიწია მუშაობა. ოჯახის ბებიას ვუვლიდი. ბებიას შვილი მკვდარი ყავდა და შვილიშვილები უვლიდნენ. ქ-ნ 81 წლის იყო, ასე ვიმუშავე 6 წელი უპრობლემოდ და რა თქმა უნდა უსაბუთოდ. ვაგზავნიდი ოჯახში ფულს და სანოვაგეს. ბებია ხელფასის გარდა შვილიშვილების მალულად თვეში 200-250 ევროს მჩუქნიდა. გარდა ამისა, კვირა არ გავიდოდა 3-4კგ საჭმელი ჩემთვის არ ეყიდათ ოჯახში გასაგზავნად, მაგრამ აი დადგა 2004 წელი და ბებია გარდაიცვალა, მეგონა სამსახური დავკარგე, მაგრამ უცბად შვილიშვილმა გამომიცხადა „ ცოლს ვცილდები და ბავშვები ჩემთან მომყავს საცხოვრებლად. თუ სურვილი გაქვს დარჩი ბავშვების მოსავლელადო“. არ დავფიქრებულვალ და დავთანხმდი. მთელი ეს პერიოდი ჩემი შვილები სკაიპით მყავდა ნანახი, უფროსი უკვე 15 წლის იყო და დედაჩემი ვერ „უმკლავდებოდა“, ხშირად მესმოდა დედაჩემისაგან „მიაფურთხე ყველაფერს“ და ჩამოდი ბავშვს კარგავო, მაგრამ სულ ვდებდი წასვლას, მინდოდა შვილებისათვის ცხოვრება „მომეწყო“, იმაზე კი არ დავფიქრებულვარ, რომ ცხოვრების „მოწყობა“ მარტო მატერიალური კეთილდღეობა არაა. ამას თან დაერთო, რომ ზუსტად იგივე ასაკის ბავშვების მოვლა დამევალა საბერძნეთში და ჩემი დედობრივი სიყვარული რაღაც დონეზე დავიკმაყოფილე. ასე გავიდა კიდევ 2 წელი. 2006 წლის 10 აპრილი იყო სკაიპზე მესიჯი დამხვდა, რომ შეძლებ დამირეკე აუცილებლადო, ჩემი მეზობელი მწერდა. გულგახეთქილმა გადაურეკე და.... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა როცა მეზობლმა მითხრა „გილოცავ, შენმა ბიჭმა ცოლი მოიყვანაო...“ პატარა კი იყო, მაგრამ გამეხარდა ოჯახს შექმნის და ჭკუას მოუხმობს დასერიოზულდებათქო. ჩემ დამსაქმებელს ვახარე ჩემი სიხარული და იქვე გულისტკივილი გამოვთქვი, რომ ქორწილში ვერ წავალთქო. რატომო რომ მკითხა, ავუხსენი, რომ უსაბუთოდ როგორ მოვახერხებდი, მან კი მითხრა, რომ დამეხმარებოდა საბუთების გაკეთებაში. აქ საბერძნეთში ნაცნობობით ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ქორწილმაც ჩაიარა, უკვე შვილიშვილს ველოდებოდი ჩემი დამსაქმებელი რომ შემოვიდა და მითხრა „ხვალ ადვოკატთან მივდივართ შენი საბუთები რომ გავაკეთოთო“... ალბათ მეორედ დავიბადე, ეგრევე წარმოვიდგინე როგორ დავბრუნდებოდი სახლში, ვნახავდი 10 წლის უნახავ შვილებს და დედას. გაათმაგებულად დავიწყე სახლში სტუმრად ჩასასვლელად მზადება. საბუთების მოლოდინში კიდე 6 თვემ განვლო, ამ 6 თვის განმავლობაში გავაგზავნე სახლში თუ კი რამე მებადა, დავასრულე ბინისათვის აღებული ბანკის ვალი. 10 წლის განმავლობაში ვიყიდე 2 ბინა ქუთაისში, შვილს ვუყიდე მანქანა, მეორე შვილის ინსტიტუტის ფულიც გადავდე და მეგონა ყველაფერი აწყობილიათქო როცა ისევ მეზობლის ზარმა მომისწრო და მითხრა, სად მოდიხარ არავინ მოგატყუოს, აქ არაფერი არ გაქვსო. ჩემს უფროს შვილს კაზინოში თამაში დაუწყია და ყველაფერი რაც იმ 10 წლის განმავლობაში ვიშოვე იქ წაუგია.. ცოლიც გაშორდა და ასე დავრჩით ქუჩაში. დღეს მაქვს საბუთები, მაგრამ საქართველოსკენ გახედვაც არ მინდა. რამდენადაც შემიძლია ვეხმარები დედას, უმცროსს შვილს. საბერძნეთშიც კრიზისია და აღარ მიხდიან იმდენს, თანაც ჩემი დამსაქმებლის შვილებიც გაიზარდნენ და ახალა მათ შვილებს ვზრდი... ერთადერთი რაშიც გამიმართლა ეს ბერძნული ოჯახია, რომელმაც მომცა თავის გატანის საშუალება.

ჩვენ შეფარებულები არ ვართ!

ხშირად გვესმის ფრაზა, „ქართველები საბერნეთის მადლიერები უნდა ვიყოთ, რადგან შეგვიფარაო“. კარგია როცა მადლიერების გრძნობა გაქვს ადამიანს, მაგრამ არ ვთვლი, რომ „შეფარებული“ ვარ. საბერძნეთს ჰქონდა სამუშაო ადგილები, სჭირდებოდა იაფი მუშახელი, მე მჭირდებოდა ფული და ოჯახის გადარჩენა და ზუსტად ამიტომ ავღმოჩნდით ერთად მე და საბერძნეთი!
სიმართლე კი ასეთია: საბერძნეთი ქვეყანაა, რომელმაც არ მაღიარა (ვსაუბრობ ქვეყნის მიერ არ აღიარებაზე და არა ხალხის დამოკიდებულებაზე), არ მომცა მუშაობისა და ცხოვრების უფლება, ამიტომ მან გამწირა იმისათვის რომ 9 წლის განმავლობაში არ ვნახო ჩემი ოჯახი, ვიყო დაუცველი, არ მქონდეს სამედიცინო დაზღვევა, მეშინოდეს და ვიმალებოდე.
გაგიგონიათ რომელიმე ქვეყანა სადაც უარს ამბობენ საბუთიანი მოსამსახურის ოჯახში მიღებაზე? ამას მარტო საბერძნეთში შეხვდებით, ეს კიდევ უფრო გასაკვირია უკანასკნელ დროს მომრავლებული მოსამსახურის მხრიდან ქურდობის ფაქტების ფონზე. რატომ? იმიტომ, რომ უსაბუთო, არალეგალ მოსამსახურესთან ოჯახები, ისევე როგორც სახელმწიფო, ყველა ვალდებულებისგან თავისუფლები არიან. უსაბთო მოახლე არ უნდა დაიღალოს, არ უნდა გახდეს ავად, არ უნდა დაისვენოს შრომის კოდექსის შესაბამისად... თუ მოახლეს ქკუა არ ეყო და მაინც დაიღალა, მაინც მოუნდა დასვენება ან ღმერთმა დაიფაროს მაინც გახდა ავად რა პრობლემაა, შეგიძლია აუღებელი ხელფასიც არ მისცე და ყოველგვარი გართულების გარეშე ქუჩაში გააგდო. ზუსტად ეს დამემართა. 2004 წელს ვიზით ჩამოვედი საბერძნეთში. ვნახე სამსახური და დავიწყე ჩემი 10 წლიანი მოგზაურობა. ისევე როგორც უმრავლესობამ მეც ვერ მოვახერხე საბუთებისთვის მიხედვა, ხან ადვოკატების თანხა არ მქონდა, ხან ოჯახი არ მიშვებდა ადვოკატებთან შესახვედრად, ხოდა ბოლოს ჩავიქნიე ხელი და ასე მალვით და შიშით განვაგრძე მუშაობა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ 2009 წლიდან ბერძნებსაც გაუჭირდათ და დაიწყო... ჯერ 1000 ევროიანი ხელფასი 600 ევროზე შეამიმცირეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების და წინასწარი გაფრთხილების გარეშე. კითხვაზე რატო არ შემითანხმდით თუ ხელფასს მიმცირებდითთქო გასაოცარი პასუხი მივიღე „რატო უნდა გამეფრთხილებინე, თუ არ მოგწონს დღესვე წადიო“! რა მექნა ჩუმად ავიღე ჩემი შემცირებული ხელფასი და გადავწყვიტე მეძებნა სხვა სამუშაო.... მაგრამ საოცრება, რამდენი გასაუბრება დამინიშნეს, იმდენი აღმოვაჩინე, რომ ჩემი საქართველოს პასპორტი, რომელიც სამუშაოს დაწყებისას ჩამომართვეს, სეიფში იყო ჩაკეტილი და გასაღები ოჯახის პატრონს სამსახურში რჩებოდა. ასე გაგრძელდა კიდევ 6 თვე. 6 თვის განმავლობაში მხოლოდ 2-ჯერ მომცეს ხელფასი და მორიგი გარკვევის შემდეგ მომიგდეს პასპორტი და მითხრეს წადი სამსახურიდანო. მიუხედავად 4 თვიანი სახელფასო დავალიანებისა, გამიხარდა რომ გამიშვეს, მაგრამ როცა ხელფასი მოვიკითხე მითხრეს „შენ ვერაფერს დაამტკიცებ რომ მუშაობდი ჩვენთან და გამოძალვისათვის პოლიციაში ამოგაყოფინებ თავსო“. ასე ატირებული წამოვედი და დავიწყე სამსახურის ძებნა, მაგრამ უკვე შეშინებულმა. ამასობაში შევიტყვე რომ 2500 ევროდ ერთ-ერთი ადვოკატი საბუთებს აკეთებდა.
გადავწყვიტე რაც იქნება იქნება ამ შიშს ფულის გადახდა მირჩევნიათქო. წავედი ვისესხე პროცენტით და 1 თვის თავზე წითელი კარტა მეჭირა ხელში, თანაც მუშაობის უფლებით. ვიფიქრე ამოვისუნთქე-თქო მაგრამ ნურას უკაცრავად 5 გასაუბრებიდან 3-ზე მითხრეს საბუთიანი არ გვინდაო.... გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, ბერძნები უპირატესობას უსაბუთოებს ანიჭებენ, რადგან პრობლემა ნაკლებია და ფილის დაზოგვაც შეიძლება....
ასე რომ კი არ შეგვიფარეს, ვჭირდებით და მოსარიდებელი არაფერი გვაქვს.

მინდა, რომ მე როგორი თვალითაც ვუყურებ ჩემს ქვეყანას, იმათმაც ისე დაინახონ....

დაახლოებით 8 წლის წინ წამოვედი საქართველოდან, მაგრამ თურქეთში არ წამოვსულვარ. ბალტიისპირეთში წავედი. იქ ჩემმა მეგობარმა შემომთავაზა სამსახური. იქ ვიმუშავე სანახევროდ თურქულ ოჯახში. მეუღლე იყო ადგილობრივი, ბალტიისპირელი, ხოლო ქმარი იყო თურქი. ეს კაცი ავტორბოლის შეჯიბრებებს აწყობდა და სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ დროდადრო. იქ 6 თვე ვიცხოვრეთ. ვიზა მქონდა და არალეგალურად არ წავსულვარ. არალეგალად წასვლის და სადმე საბარგულში დამალვის არც სურვილი მქონდა და არც მასეთ რისკზე წამსვლელი არ ვარ. შემდეგ ეს ოჯახი წამოვიდა სტამბოლში და შემომთავაზეს მათთან ერთად გადასვლა. გადმოვედი, რადგან თურქეთი ტერიტორიულად ახლოს იყო, საქართველოში სიარულისთვის ხელმისაწვდომი იყო ეკონომიკურადაც, ბილეთის მხრივ, ისედაც...
არ ვიცი რატომ გადავწყვიტე. სიმართლე გითხრათ ძალიან დიდი სურვილი არ მქონდა თურქეთში ცხოვრების. წლების წინ ვინმეს ჩემთვის რომ ეთქვა, რომ თურქეთში იმუშავებ და იცხოვრებო, ძალიან გამიკვირდებოდა, შეიძლება გავბრაზებულიყავი, ან სიცილი დამეწყო. შემდეგ ეს ოჯახი წავიდა გერმანიაში და რაკი აქ ვიყავი უკვე ჩამოსული ნელ-ნელა ენის

პრობლემაც მოვაგვარე, რადგან ინგლისურენოვან ოჯახში ვმუშაობდი და ენის პრობლემა არ მქონდა. დასაწყისში სასაცილო თურქულით ვსაუბრობდი მაგრამ გამიმართლა, რომ მოვხვდი განათლებულ, კულტურულ, კარგ, შეგნებულ ოჯახში და ვისწავლე ენა. ძალიან იშვიათად საქმლის გაკეთება მიწევდა. ჩემი ძირითადი საქმიანობა იყო ბავშვის მოვლა. თავიდან არ მქონდა სამუშაო ნებართვა. მაშინ იყო სამთვიანი ვიზა და სამ თვეში ერთხელ გადავდიოდი საზღვარზე. პასპორტი გაფუჭებული არ მქონდა. შემდეგ 2-3 წლის წინ გამოვიდა ახალი კანონი და მაშინ გამიკეთეს სამუშაო ვიზა, ცხოვრების უფლება. ოთხნახევარი წელიწადი ვიმუშავე ერთ ოჯახში. გავზარდე ჩემი პატარა. მენატრება. დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს.

ბევრი ჩემი მეგობრისგან მესმის ტკვილი, საუბრები, საყვედურები, რომ ცუდ პირობებში ცხოვრობენ, ცუდად ექცევიან. კიდევ ვიმეორებ, რომ მე გამიმართლა. ძალიან კარგებთან მოვხვდი.

მე რამდენიმე თვის წინ ჩამოვედი საქართველოდან. იქ თვენახევარი ვიყავი. გული მტკივა, მენატრებიან ჩემი შვილები, ჩემი მოსწავლეები, მეგობრები (ტირის)... ჩემი მოსწავლეების მოწერილი მესიჯებით ვცოცხლობდი. ახლაც ეგრე ვარ. მე ინგლისურს ვასწავლიდი ყაზბეგის სასულიერო გიმნაზიაში. წლების განმავლობაში ჩემი აქაური მეგობრები მაცოცხლებენ (ტირის)...

საერთოდ, სხვაგან როდესაც მიდიხარ უფრო კარგად ჩანს შენი ქვეყანა როგორია, შენი სამეგობრო როგორია და თურმე როგორები ვყოფილვართ ქართველები ესეც სხვა ქვეყნიდან დავინახე. დავინახე ერთმანეთის თანადგომა, დავინახე ძალიან ცუდი ღალატი და ცუდი ურთიერთობა, ერთმანეთის გაუტანლობა, მაგრამ მაინც დავინახე. მე საქართველოში რომ მეცხოვრა ამას ვერ დავინახავდი, რადგან იქ ადამიანებთან შეჩვეული ხარ, მათთან ერთად ცხოვრობ, იმათი კარგიც და ცუდიც ერთ, ლამაზ ფერებშია. ადამიანი როდესაც გიყვარს, ბავშობიდან შეიზარდე ის გიყვარს და მისი დადებითიც და უარყოფითიც შენთვის მაინც მისაღებია. აქ უკვე სხვა თვალით უყურებ ყველას. გადმოკარგული როდესაც ხარ გაფაქიზებულია აბსოლიტურად ყველა გრძნობა. მიყვარს ჩემი მეგობრები, ბედნიერი ვარ იმით, რომ ტაძარში ერთად მივდივართ, მამა გიორგის ჩამობრძანებისას უფრო მეტნი ვართ. არ მეშინია აქ გაჭირვების. არ მეშინია, რადგან ის ოჯახი სადაც მე ვიმუშავე დღემდე ჩემთვის უახლოეს მეგობრებად არიან დარჩენილები, ფაქტობრივად ჩემ ნათესავებად რჩებიან და მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც გაჭირვებამ აქეთ გადმოყარა და ერთმანეთის ფასი დაგვანახა.

ჩვენ ძალიან ძლიერი თაობა ვართ. ჩენ ყველაფერი ვნახეთ და გავუძელით. მოყოლებული კომუნისტური რეჟიმიდან, ომები, სამოქალაქო ომი. ყველაფერი ნახა ჩემმა თაობამ. იყო დრო, როდესაც შუადღის 3-4 საათის შემდეგ გარეთ არავინ გამოდიოდა. ისეთი პერიოდიც გავიარეთ ღამეებს ქუჩაში რომ ვათევდით, დავსეირნობდით და ძალიან ბედნიერები ვიყავით. ეს ახალგაზრდობა თითქოს მომზადებულია გაჭირვებისთვის, მაგრამ არ მინდა რომ გაუჭირდეთ. მინდა რომ ორგანიზაციებმა და სახელმწიფომ იზრუნონ ახალგაზრდებზე, ჩვენ მომავალზე. დაასაქმონ. მთელი იმ თვენახევრის მანძილზე, როდესაც საქართველოში ვიყავი, დავდიოდი თბილისის ქუჩებში, დავდიოდი ჩემი რაიონის ქუჩებში და ვფიქრობდი იმაზე, რომ იმ ძველ ოჯახს სადაც მე ვმუშაობდი, ძალიან სურს საქართველოში ჩამოსვლა და ვფიქრობდი, რომ ჩამოვიყვან რა სახეები უნდა დაინახონ, სად წავიყვანო, რა ვაჩვენო-მეთქი. განა ის, რომ ისტორიული ადგილები არ არის საქართველოში, ჩვენი ახალგაზრდების გაუბედურებული სახეების ჩვენება არ მინდა. ჩვენი ხალხის ესეთი დაკნინებული მდგომარეობის ჩვენება არ მინდა. აქ რომ ჩამოდიხარ აქ თავი მაღლა გაქ აწეული, რადგან კულტურით, ბევრი რაღაცით მაღლა ვდგავართ. მერე რა, რომ ვემსახურები. მე შეხვედრისას ვუთხარი კიდევაც იმ ოჯახს, მე როგორც მომექცევით თქვენი კულტურა არის-მეთქი. მე ძალიან კარგად ვიცი ვინ ვარ აქ, რა საქმეს ვაკეთებ, მაგრამ ისიც ვიცი ჩემს ქვეყანაში ვინ ვარ ჩემი მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის, ჩემი შვილისთვის რა სტატუსით ვარ. ბევრს ვუყვებოდი ჩვენს ქვეყანაზე და ზეპირად შევაყვარე.. მინდა, რომ მე როგორი თვალითაც ვუყურებ ჩემს ქვეყანას, იმათმაც ისე დაინახონ.

ძალიან გული მწყდება, რომ ქართველები ასეთ დღეში არიან...

არალეგალურად ჩამოვედი 2007 წლის 13 ივნისს. მანამდე ჩემს ქვეყანაში ვიყავი, ვარ აფხაზეთიდან ლტოლვილი, გაჭირვების პერიოდი გამოვიარეთ. მე თვითონ სამედიცინო ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული, ვმუშაობდი სამშობიარო სახლში. მყავს 2 შვილი, ეხლა ჩემი პროფესიით არ ვმუშაობ, ვარ ოჯახის დიასახლისი, მყავს მოხუცებული ბებია, რომელსაც მე ვუვლი. არალეგალურად ვმუშაობდი თავიდანვე, ჩემმა დეიდაშვილმა ჩამომიყვანა. მერე შეიცვალა კანონები და იძულებულები გავხდით 6 თვიანი ტურისტული ვიზა გაგვეკეთებინა. 2-3 წელი ამ ვიზით ვმუშაობდი, ახლა შემიწყდა ეს ვიზა, გადავიდა ერთ წლიანზე, ამჟამად ვერ ვაკეთებ ამ საბუთს, 3 თვიანი დამიმთავრდა და მივდივარ საქართველოში. 3 თვე იქ ვიქნები და არ ვიცი რა გავაკეთო, ჯერჯერობით სამსახური არ გამაჩნია. მინდა ჩემი სპეციალობით ვიმუშაო. აქ დავკარგავ სამსახურს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მსურს ვინმე ჩემი ახლობელი დავტოვო 3 თვით, რომ შევინარჩუნო სამსახური, იმიტომ რომ ძალიან რთულია აქ სამსახურის შოვნა, პრობლემურია ისიც თუ როგორ ოჯახში მოხვდები. თურქეთში ზოგადად რთულია სამსახურის პოვნა. ისევ ჩვენი ეკლესიის მრევლი ერთმანეთს ვეხმარებით, ეხლა 2 წელია ამ ოჯახში ვარ და ძალიან კმაყოფილი ვარ. ერთი ოჯახივით ვართ, სამი სული არიან, ორი გაუთხოვარი გოგო და ერთი ბებია და ამ ბებიას ვუვლი მე. დაბრუნება მინდა, შვილიშვილების და შვილების ნახვა მინდა, ოჯახი მენატრება, მაგრამ ვერ მივდივარ სამწუხაროდ, რადგან რომ ჩავალ საქართველოში სხვა პრობლემები მხვდება. ამ ეტაპზე ვერ

ვაკეთებ სამუშაო ნებართვას, იმიტომ რომ მინდა ეს ვიზა დავამთავრო. ცუდად გავხდი აქ თურქეთში, 15 დღე საავადმყოფოში ვიწექი. რომ ჩავედი საქართველოში ვფიქრობდი დაზღვევის მიღებას და ოპერაციის გაკეთებას, მაგრამ ვერ მივახწიე იქამდე რომ ეს დაზღვევა მიმეღო, დაგეგილი დაზღვევის შემთხვევაში გიკეთებენ 100%-იან დაფინანსებას, დაუგეგმავზე კი ძალიან ცოტას გიხდიან, ნახევარი თანხის გადახდა შენ გიწევს, ამის საშუალება კი მე არ მაქვს. ქირით ვცხოვრობ 22 წელიწადია, ლტოლვითა სამინისტროს მივმართე და ვერაფერს მივაღწიე. ერთადერთი მე ვარ საკუთარი თავის დამხმარე. ჩემმა გოგომ დაამთავრა უმაღლესი, გათხოვდა და შვილი ყავს. სურს რომ რამე გააკეთოს საქართველოში მაგრამ არ არის საშუალება რომ იმუშაოს, ხანდახან ჩამოდის ჩემთან ერთად დასახმარებლად, 25 წლისაა და 19 წლიდან მუშაობს, საკუთარ ფულს შოულობს. ძალიან გული მწყდება, რომ ქართველები ასეთ დღეში არიან, ყველას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, მაგრამ არ ხდება ქართველების ხელშეწყობა რომ სამშობლოში იმუშაონ, კარგს ვერაფერს ვხედავ საქართველო

მინდა დავბრუნდე საქართველოში და იქ ვიმუშაო...

17 წლის ვიყავი რომ ჩამოვედი თურქეთში, 2011 წელი იყო... თავიდან ლეგალურად წამოვედი და სამი თვე გავჩერდი, ამის შემდეგ ერთ კვირაში უკან დავბრუნდი და უკან აღარ წავსულვარ, არალეგალურად დავრჩი და დღემდე აქ ვარ უკვე სამი წელია, არც მუშაობის უფლება მაქვს და არც არაფერი.. მიუხედავად ამისა, არალეგალურად ვმუშაობ ეს პერიოდია ფაბრიკაში, აღებული ფულით დავიწყე ხბოების ყიდვა, მინდოდა ჩემი ფერმა გამეკეთებინა, 30 სული ძროხა მყავს უკვე, აღარ მინდა აქ ყოფნა, მინდა დავბრუნდე საქართველოში და იქ ვიმუშაო. ვაპირებ საახალწლოდ წასვლას, მე თვითონ უნდა მივხედო ჩემს ფერმას...

G-PAM პროექტის ბენეფიციარებმა უფასო პროფესიული გადამზადება გაიარეს

G-PAM პროექტის ფარგლებში 77 ბენეფიციარმა გაიარა უფასო პროფესიული გადამზადება. ბენეფიციარებმა გადამზადება გაიარეს ისეთ ხელობებში, როგორიცაა: IT ინჟინერია, სამკერვალო, სადალაქო, ვულკანიზაცია, მეტალოპლასტმასზე მუშაობა, საკონდიტრო, პურის საცხობი.

პროგრამა მოიცავდა საქართველოს 5 რეგიონს და მასში მონაწილეობა მიიღო შემდეგ სოფლებში არსებულმა მცირე ბიზნესმა თუ სასწავლო ცენტრმა: ჭალე, ხიჭაური, ქვენატკოცა, კარალეთი, აგარა, დოესი, ძევრი, დიდი ჭყონი, ჯგალი და როდინაული.

პროგრამა 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო. თავდაპირველად საქართველოს 50 სოფელში მოძიებულ იქნა ისეთი ცენტრები, სადაც მოქალაქეები შეძლებდნენ პროფესიულ გადამზადებას. სულ შეგროვდა 151 დაწესებულება/საწარმო. ასევე გამოიკვეთა პრიორიტეტული სფეროები. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა ის საწარმოები, რომლებიც უკეთეს ფინანსურ და საწარმოო პირობებს იძლეოდნენ. G-PAM პროექტის სოფლის კონსულტანტებმა პროფესიული გადამზადების პროგრამის შესახებ ინფორმაცია სოფლებში გაავრცელეს, რის შედეგადაც შეირჩა 77 ბენეფიციარი.

პროფესიული გადამზადების პროგრამა განხორციელდა „კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ თანამშრომლობით.

.

ეროვნული დიალოგი საქართველოს ხუთ რეგიონში

გორი, მარნეული

13 მარტს გორში და 14 მარტს მარნეულში, ,,სიდას" ორგანიზებით გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა/დისკუსია მიგრაციის თემაზე.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. მონაწილეებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც აწუხებთ როგორც მიგრანტებს ასევე მათი ოჯახის წევრებს.
შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მედიის მნიშვნელობას არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის პროცესში, რადგან ინფორმირებულობის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არალეგალური მიგრაციის პრევენციისთვის.

ბათუმი

23 მარტს, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა შეხვედრა/დისკუსია მიგრაციის თემაზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ბათუმის საკრებულოს წარმომადგენლებმა, ქალაქ ბათუმის მერმა, IOM ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელმა, სტუდენტებმა, ყოფილმა მიგრანტებმა, პროექტის სოფლის კონსულტანტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები. დისკუსიისას წამოიჭრა ის ძირითადი თემები, რომელიც უკავშირდება პროფესიული გადამზადების მნიშვნელობას, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის აუცილებლობას. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოითქვა სურვილი თანამშრომლობის მზადყოფნაზე.

ზუგდიდი

24 მარტს, ზუგდიდში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათი“-ს ოფისში გაიმართა შეხვედრა/დისკუსია მიგრაციის თემაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმართველობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროექტის სოფლის კონსულტანტები, ყოფილი მიგრანტები და დაინტერესებული პირები. შეხვედრაზე განხილულ იქნა მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროცესები, ამ სფეროსთვის დამახასიათებელი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. დისკუსიისას ინფორმაციის გავრცელებისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლების მნიშვნელობას გაესვა ხაზი. ამ მხრივ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობაზე მზაობა გამოხატა ზუგდიდის საკრებულოს წარმომადგენელმა.
დაბრუნებული მიგრანტების სოციო/ფსიქოლოგიური რეინტეგრაცია ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ამაზე ისაუბრეს შეხვედრის მონაწილე ყოფილმა მიგრანტებმაც.



ქუთაისი

30 მარტს, ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართება დისკუსია თემაზე ,,მიგრაცია, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები". დისკუსიაში მონაწილეობდნენ: საქართველოს იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის იურსიტი ზაალ გორგიძე, იმერეთის სოციაური მომსახურების სააგენტოს დასაქმების კონსულტანტი ლანა ნუცუბიძე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელი თინათინ ენდელაძე, ქუთაისის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, პროექტის სოფლის კონსულტანტები.

დისკუსიაზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კონკრეტულად კი ის, რომ მოქალაქეები ნაკლებად ინფორმირებულნი არიან, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს არალეგალურ მიგრაციას, ასევე ის ფაქტორი, თუ რაოდენ დაბალია საქართველოს საელჩო/საკონსულოსადმი საქართველოს მოსახლეობის ნდობის ფაქტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია

G-PAM პროექტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 261 030, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge,
www.migrant.ge

მაია პაქსაშვილი, G-PAM პროექტის იურისტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 571 258 822 / 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, maia@cida.ge
სკაიპ-სახელი: migrant_ge

ზურაბ წურწუმია, G-PAM პროექტის ასისტენტი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
(+995) 598 715 915, 341 25 88 24 (შიდა ნომერი 13)
migrant_ge@hotmail.com, zura@cida.ge

სამეგრელო
თინათინ დიდიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ასოციაცია ათინათი, რუსთაველის ქ. 94, ზუგდიდი, 2100
+995 599 515129, ti-ka35@rambler.ru

ნაგვაზაო 598736915
დიდი ჭყონი 599915962
ბანძა 598917343
ჯიხაშკარი 551094803
ანაკლია 599897544
ორსანტია 557903747
ხაბუმე 591810369
ჭალე 599897238
ჯგალი 599897563
ჯვარი 597983348
თეკლათი 595048535
პირველი მაისი 577644021
საჯიჯაო 557202185
ნოსირი 551532222

იმერეთი
ნათია ნამიჭეიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი
ი. გრიშაშვილის მე-4 შესახ. #3, ქუთაისი, 4600
+995 598 797 479, natiaacett@gmail.com

ქვედა საზანო 598691005
როდინაული 595048561
გორა 598664897
დიდი ჯიხაიში 598926620
საჯავახო 557183917
ხრეითი 598395278
ქვაციხე 551334487
ქვიტირი 558380755
ოფშკვითი 595048624
კუხი 599897210
ძევრი 595554148
ალისუბანი 577653465

აჭარა
არჩილ ხახუტაიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
დემოკრატიის ინსტიტუტი, ფარნავაზ მეფის ქ. 144, ბათუმი
+995 577 210 410, A.khakhutaishvili@iod.ge

ჩაისუბანი 599132926
მუხაესტატე 514596688
ცხმორისი 591718941
ხიჭაური 591714395

შიდა ქართლი
მიხეილ ჩიტაძე, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
გორის საინფორმაციო ცენტრი, ჩიტაძის ქ. 3, გორი, 1400
+995 599 113 455, gic@gic.org.ge, mishachitadze@gmail.com

ატენი 599897482
კარალეთი 595048573-599897280
შინდისი 599897316-598113055
ტინისხიდი 599777042
ვარიანი 599897605
ქვახვრელი 599897345
დოესი 599897337
დირბი 595512627
ქვენატკოცა 599897158-595048000
დაბა აგარა 599370676

ქვემო ქართლი
შორენა ხუხუა, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
კეთილი ნების მისია – მისიონერები, სულხან–საბას ქ. 143, ბოლნისი
+995 577 973 24, shorenakhukhua@gmail.com

კასუმლო 599000355
ნორიო 599897283
კუმისი 593197140
მარტყოფი 555502103
გამარჯვება 598215194
წინწყარო 598206017
ასურეთი 599897207
რატევანი 595048701

საბერძნეთი
გიორგი ოკრიბელაშვილი, პროექტის წარმომადგენელი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
ვილარას ქ. 5, ათენი (Βηλαρά 3, Αθήνα - Ομόνοια)
+30 699 263 1111, migrant_gr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_gr

თურქეთი
მაია კობაიძე, პროექტის წარმომადგენელი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
მე–4 სართ., თოფჩექენლერის ქ. 16, ჰუსეინაღას უბანი
(Huseyinağa mah. Topçekenler sok. No16. Kat.4. Beyoğlu/İstanbul)
ბეიოღლუ/სტამბოლი, +90 531 317 8901, migrant_tr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_tr

ნანა კლდიაშვილი G-PAM პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი;
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
მე–4 სართ., თოფჩექენლერის ქ. 16, ჰუსეინაღას უბანი
(Huseyinağa mah. Topçekenler sok. No16. Kat.4. Beyoğlu/İstanbul)
ბეიოღლუ/სტამბოლი, +90 537 282 0464, migrant_tr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_tr